უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგ სხდომას უხელმძღვანელა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 14.05.2026. 2026 წლის 14 მაისს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ უხელმძღვანელა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგ სხდომას დანილოვის მონასტრის პატრიარქალურ და სინოდალურ რეზიდენციაში.

შეხვედრის გახსნისას, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა წმინდა სინოდის წევრებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა, რის შემდეგაც სინოდმა დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო მუშაობა, იტყობინება **პატრიარქის პრეს-სამსახური.**

სხდომაში მონაწილეობენ:

წმინდა სინოდის მუდმივი წევრები: კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვას მიტროპოლიტი ვლადიმერი; ასტანისა და ყაზახეთის მიტროპოლიტი ალექსანდრე, ყაზახეთის რესპუბლიკაში სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური; ტაშკენტისა და უზბეკეთის მიტროპოლიტი ბიკენტი, ცენტრალური აზიის სამიტროპოლიტო ოლქის მეთაური; სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ბარსანოფი; კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი პავლე, პატრიარქის ადგილმონაცვლე მოსკოვის სამიტროპოლიტოში; მინსკისა და ზასლავის მიტროპოლიტი ბენიამინი, სრულიად ბელარუსიის საპატრიარქო ეგზარქოსი; ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი გრიგოლი, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი; ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე; ვლადიმირისა და სუზდალის მიტროპოლიტი ნიკანდრე, მოსკოვის საპატრიარქოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს თავმჯდომარე;

წმინდა სინოდის დროებითი წევრები: კაიროსა და ჩრდილოეთ აფრიკის მიტროპოლიტი კონსტანტინე, აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსი; კანაშისა და ბელოვოლგის ეპისკოპოსი სტეფანე; გაჩინისა და ლუგის ეპისკოპოსი მიტროფანე; ნოვოროსიისკისა და გელენჯიკის ეპისკოპოსი სერგი; ბიისკისა და ბელოკურიხის ეპისკოპოსი სერაფიმე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/94284/